საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №26/2019
2019 წლის 6 სექტემბერი

ქ. თბილისი

2019 წლის 27 ოქტომბერს გასამართი საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს 2019 წლის 27 ოქტომბერს გასამართი საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

დანართი

ხარჯთაღრიცხვა

მუხლი	ხარჯის დასახელება	თანხა (ლარი)
სულ	**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**	**409,537**
	ხარჯები	409,537
	შრომის ანაზღაურება	300,588
	საქონელი და მომსახურება	47,675
	სხვა ხარჯები	61,274
06 04 01	**არჩევნების ჩატარების ღონისძიებები**	**387,687**
	ხარჯები	387,687
	შრომის ანაზღაურება	300,588
	საქონელი და მომსახურება	47,675
	სხვა ხარჯები	39,424
06 04 04	**საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება**	**21,850**
	ხარჯები	21,850
	სხვა ხარჯები	21,850